ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 122/01/37

ქ. თბილისი **29 მარტი, 2011 წელი**

ერთის მხრივ საქართველოს ს.ს.ი.პ. საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი), სააგენტოს დირექტორის მოადგილის გიორგი გულუას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჯი თი ეს ელექტრონიქსი“ მისი გენერალური დირექტორის ნინო ქოჩიაშვილის, სახით, (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის №22 განკარგულებით და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10^1 მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის პროცედურით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით პროგრამა -„ირმის ნახტომით“ გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში სამინისტროს მონაცემთა შენახვისა და დამუშავების ცენტრისათვის საჭირო **დიზელ გენარატორი ავტომატური ჩამრთველისთა და სათანადო ხმის ჩამხშობით,** (თანამდევი მომსახურებით – ბეტონის ბალიშის მოწყობა, გენერატორის მონტაჟი და ექსპლოატაციაში გაშვება) – სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების – დანართი №1-ის (ტექნიკური დავალება) შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. **შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში**

2.2. **შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულებაა 39 188 (ოცდაცხრამეტი ათას ასოთხმოცდარვა)** ლარი ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების, (დ.ღ.გ.-ს ტრანსპორტირების, შენახვისა და სხვა) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ალექსიძის ქ.№1 კორპუსი, მიდებარე ტერიტორია (ეზო), ვადა განისაზღვროს 2011 წლის 28 აპრილის ჩათვლით.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.4. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე (ინსპექტირებაზე) და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სააგენტოს დირექტორის მოადგილე გიორგი გულუა.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

6.3. მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს წინასწარი ანგარიშსწორება ხელშეკრულების ღირებულების 30%-ის ოდენობით.

6.4. ავანსის გადარიცხვა განხორციელდება საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 (თუთემტი) საბანკო დღეში.

6.5. საბანკო გარანტიების (ხელშეკრულების უზრუნველყოფაზე და საავანსო ანგარიშსწორებაზე) მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

6.6. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

– მოწოდებულ შესყიდვის ობიექტზე გაავრცელოს ორწლიანი საგარანტიო მომსახურება, ან 1000 სამუშაო საათი, რომელიც პირველი შესრულდება;

- შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ კი მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და ვერ შეძლებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ასეთის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გაუგრძელოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადა არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

საქონლის მიწოდებას, შემსყიდველი ცალმხრივად წყვეტს ხელშეკრულებას და არაჯეროვანი შესრულებისათვის მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 28 აპრილის ჩათვლით, ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ოთხი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. თანმდევი მომსახურება

15.1. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საქონლის შენახვა და ტრანსპორტირება მიწოდების ადგილზე.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო",
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №68, ს/კ 202294980;
სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222

დირექტორის მოადგილე გიორგი გულუა

(ხელმოწერა)

შ.პ.ს. ,,ჯი თი ეს ელექტრონიქსი", მისამართი: იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაჟა–ფშაველას გამზ. მე–4 კვ, მე–4 კორპ, ფაქტიური მისამართი: თბილისი, მოსკოვის გამზ, N35, ს/კ 205029351, ს.ს. ,,ლიბერთი ბანკი"–ს ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: LBRTGE22, ა/ა360814820

გენერალური დირექტორი ნინო ქოჩიაშვილი

(ხელმოწერა)

დანართი 1

ტექნიკური დავალება:

1. მაქსიმალური სიმძლავრე: 165 კვა(132კვტ)
2. სამუშაო სიმძლავრე: 150 კვა(120კვტ)
3. სიხშირე: 50 ჰერცი
4. ძაბვის ავტომატური რეგულირებით;
5. წყლის გაგრილების სისტემით,
6. გამომუშავებული დენის ძაბვა 3 ფაზა 380-400ვ. ;
7. ელექტრონული მართვით, ქსელში დენის გათიშვის შემთხვევაში, ავტომატური და ხელის მართვის ფუნქციით;
8. 3 ფაზა ქსელის ავტომატური გადამრთველი გენერატორის ავტომატური გაშვების ფუნქციით AVR
9. გენერატორის ციფრული დისტანციური მართვით და მისი ძირითადი პარამეტრების მონიტორინგით (GSM მოდული + მონიტორინგი)
10. ავარიული გათიშვის ღილაკით
11. მეტალის კარკასით, აღჭურვილი ვიბრაციის ჩამხსობი ელასტიური ბალიშებით;
12. საწვავის დონის მაჩვენებლით;
13. მაყუჩით და თუნუქის ხმის ჩამხშობი კორპუსით, ღია ცის ქვეშ მონტაჟის საშუალებით;
14. საწვავის ავზის ტევადობა: 540 ლტ.
15. საწვავის ხარჯი 100% დატვირთვაზე 27
16. ხმაურის დონე 100% დეტვირთვაზე გენერატორიდა 7 მეტრში (1 მეტრში) 70dba (80 dba)
17. ელექტრონული მართვის პანელით, რომლეიც მუშაობის პროცესში ასახავს გენერატორისა და ძრავის პარამეტრებს: ძაბვა ქსელში, სიხშირე, მოხმარებულ სიმძლავრეს; ზეთის დონეს, წყლის დონეს; წყლის ტემპერატურას. ნამუშევარი საათების რაოდენობას და ა.შ.
18. ღირებულებაში შედის: ბეტონის ბალიშის მოწყობა და გენერატორის მონტაჟი-გაშვება.

გაფრთხილება კონფიდენციალობაზე: *ეს დოკუმენტი განკუთვნილია **საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს** თანამშრომლებისათვის, ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გავრცელდეს ფარგლებს გარეთ.*